შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი:	საქათველოს ნორმატიული აქტის პროექტი და მოქმედი ნორმატიული აქტი:
ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 23 აპრილის დირექტივა 2009/22/EC „მომხმარებლის ინტერესების დამცავი ღონისძიებების შესახებ“	1. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ 2. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 3. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №30/09-5 2014 წლის 30 სექტემბერი „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სშ - სრულად შესაბამისი ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი შ - შეუსაბამო ას - არა სავალდებულო

1	2	3	4	5	6	7
1.1	**სფერო** ამ დირექტივის მიზანია, რომ მე-2 მუხლში მითითებულ აღმკვეთ ღონისძიებებთან დაკავშირებული, წევრი ქვეყნების კანონმდებლობა, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები დააახლოოს, დანართ I-ში ჩამოთვლილ ევროკავშირის აქტებში მოცემულ, მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესების დაცვის მიზნით და შიდა ბაზრის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.				ას	
1.2	ამ დირექტივის მიზნებისთვის, დარღვევად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება	1	3.2	მომხმარებელს უფლება აქვს, მისი უფლების დარღვევის შემთხვევაში, მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა	სშ	

	დირექტივის 1-ელ დანართში ჩამოთვლილ აქტებს, რა ფორმითაც ისინი გადატანილნი არიან წევრი ქვეყნების შიდა სამართალში და არღვევენ 1-ელ პარაგრაფში მოცემულ მომხმარებელთა კოლექტიურ ინტერესებს.	1	31.4	ან/და საქმის ეფექტიანი და სწრაფი განხილვა და შესაბამისი რეაგირება, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სააგენტო: ა) შეისწავლის ამ კანონით განსაზღვრულ მომხმარებლის უფლებების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რამაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლებების დარღვევა;		
2.1	**აღმკვეთი ქმედებები** წევრმა ქვეყნებმა უნდა შექმნან სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოები უფლებამოსილნი განახორციელონ სამართალწარმოება, კვალიფიციური ორგანოების მიერ დაწყებულ საქმეებზე, მე-3 მუხლის შესაბამისად, რათა:	1	31.1	საქართველოს ტერიტორიაზე ამ კანონით განსაზღვრული მომხმარებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლების აღდგენის ხელშეწყობას, დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ შესაბამის რეაგირებას ახორციელებს დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო (შემდგომ - სააგენტო) და შესაბამისი სფეროს უფლებამოსილი მარეგულირებელი.	სშ	
2.1	(ა) დადგინდეს განკარგულება ყველა შესაბამისი მოთხოვნის დაცვით, სადაც შესაძლებელია მარტივი	1	33.8	სააგენტოს მიერ საქმის შესწავლისას, თუ იგი დაკავშირებულია უსამართლო კომერციულ	სშ	

	სამართალწარმოებით, კონკრეტული ქმედების აკრძალვის ან შეჩერების შესახებ;			პრაქტიკასთან და არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა და დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება, სააგენტოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოვაჭრის ქმედების დროებითი შეჩერების შესახებ შუამდგომლობით და დასაბუთებით, რომ ასეთი ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საქმის შესწავლას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოვაჭრისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.		
2.1	(ბ) სადაც შესაძლებელია, გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ გამოქვეყნდეს, ადეკვატური ფორმით ან თავად დამრღვევის აღიარებითი განცხადების სახით, დარღვევის განგრძობადი ეფექტის აღმოფხვრის მიზნით;	1	34.7	გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, სააგენტო ვალდებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს გადაწყვეტილების სრული ტექსტი, დასაბუთების ჩათვლით, გარდა კანონით დადგენილი კონფიდენციალური ინფორმაციისა.	სშ	

2.1	(გ) თუ ამას შესაბამისი წევრი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს, გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, წაგებულ მოპასუხე მხარეს შესაძლებელია დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გარკვეული თანხის გადახდა, გადასახადი ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ან ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ოდენობით, მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება არ შესრულდება სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს დათქმულ ვადაში;	1	35.1	სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მისი გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს.	სშ	
2.2	ეს დირექტივა, არ ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს და შესაბამისობაში უნდა იყოს გამოსაყენებელ სამართალთან, რომელიც როგორც წესი იმ წევრი ქვეყნის კანონია, სადაც დარღვევას ჰქონდა ადგილი ან, სადაც ამ დარღვევის შედეგი დადგა.				ას	
3	**ორგანოები, რომლეთაც უფლება აქვთ აღძრან საქმე** ამ დირექტივის მიზნებისათვის, „კვალიფიციური ორგანო“ გულისხმობს უწყებას ან ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა წევრი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად და გააჩნია 1-ელი მუხლით განსაზღვრული დებულებების	1	31.1	საქართველოს ტერიტორიაზე ამ კანონით განსაზღვრული მომხმარებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლების აღდგენის ხელშეწყობას, დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ შესაბამის რეაგირებას ახორციელებს	სშ	

	შესაბამისობის უზრუნველყოფის კანონიერი ინტერესი, კერძოდ:			დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო (შემდგომ - სააგენტო) და შესაბამისი სფეროს უფლებამოსილი მარეგულირებელი.		
3	(ა) ერთი ან მეტი დამოუკიდებელი საჯარო ორგანო, რომელიც კონკრეტულად პასუხისმგებელია 1-ელი მუხლით განსაზღვრული ინტერესების დაცვაზე;	1	31.1	საქართველოს ტერიტორიაზე ამ კანონით განსაზღვრული მომხმარებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლების აღდგენის ხელშეწყობას, დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ შესაბამის რეაგირებას ახორციელებს დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო (შემდგომ - სააგენტო) და შესაბამისი სფეროს უფლებამოსილი მარეგულირებელი.	სშ	
3	(ბ) ორგანიზაციები, რომელთა მიზანია 1-ელი მუხლით განსაზღვრული ინტერესების დაცვა, ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;	1	39	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ მომხმარებლის დაცვის პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებაში, მათ შორის: ა) მონაწილეობა მიიღონ ამ კანონით დადგენილი მომხმარებელთა ჯგუფის უფლებების დარღვევის შემთხვევაში განცხადების მომზადებაში; ბ) ითანამშრომლონ მეწარმეთა გაერთიანებებთან და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან	ას	

				მომხმარებელთა ჯგუფების უფლებების დასაცავად; გ) ხელი შეუწყონ დავის მედიაციის საშუალებით გადაწყვეტას; დ) მონაწილეობა მიიღონ მომხმარებლის ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიებისა და საგანმანათლებო პროგრამების განხორციელებაში.		
4.1	**თანამეგობრობის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევები** თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია გაატაროს სათანადო ზომები, ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც დარღვევა ჩადენილია მის ტერიტორიაზე, თუმცა დაცული ინტერესი შეილახა სხვა სახელმწიფოში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ უკანასკნელის სათანადო ორგანოებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მიმართონ მე-2 მუხლში განსაზღვრულ სასამართლოებს ან ადმინისტრაციულ ორგანოებს, ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ნუსხის წარდგენის საფუძველზე. სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო კონკრეტული საქმის განხილვისას, დამატებით გამოკვლევის გარეშე მიიღებს აღნიშნულ ნუსხას ამ ორგანოთა სამართლებრივი უფლებამოსილების დასტურად, იმის დასტურა სამართლებრივი უფლებამოსილების მქონე უწყებების ნუსხას, მათი კვალიფიციურობის შეფასების გარეშე.				ას	

4.2	თანამეგობრობის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების მიზნებისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი ეროვნული ორგანოების მიმართვის საფუძველზე, კომისიას უნდა შეატყობინონ, რომ ეს ორგანოები არიან კვალიფიციურნი სარჩელი აღძრან მე-2 მუხლის შესაბამისად. წევრმა სახელმწიფოებმა ამ ორგანოების დასახელება და მიზნები უნდა მიაწოდონ კომისიას.				ას	
4.3	კომისია შეადგენს შესაბამისი კვალიფიცირებული ორგანოების ნუსხას, მე-2 პუნქტის თანახმად, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით. ნუსხა გამოქვეყნდება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში, ნუსხაში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება დაუყონებლივ, ხოლო ნუსხა განახლებადია ყოველ 6 თვეში ერთხელ.				ას	
5.1	**წინასწარი კონსულტაციები** წევრ ქვეყნებს შეუძლიათ დააწესონ ან შეინარჩუნონ დებულებები, რომლის მიხედვითაც, მხარეს, რომელიც საქმის აღძვრას აპირებს დარღვეული უფლების აღსადგენად ამის უფლება მიეცეს მხოლოდ დაცვის მხრესთან ან დაცვის მხარესთან და მე-3ა მუხლის გაგებით კვალიფიციურ ორგანოსთან ერთობლივად კონსულტავიის გავლის შემდეგ. თუ კონსულტაციას 2 კვირის ვადაში არ მოჰყვება დარღვევის შეწყვეტა, ბრალმდებელი მხარე უფლებამოსილია დაიწყოს საქმისწარმოება ყოველგვარი შეფერხების გარეშე.	1	30.2	ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების არსებობა მომხმარებელს არ ართმევს სასამართლოსთვის მიმართვის ან/და დავის მედიაციის გზით გადაწყვეტის უფლებას.	ას	

5.2	წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული წესები წინასწარი კონსულტაციის შესახებ ეცნობება კომისიას და ქვეყნდება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში“.				ას	
6.1	**ანგარიშები** ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, პირველად არაუგვიანეს 2003 წლის 2 ივლისისა, კომისია ევროპარლამენტსა და საბჭოს წარუდგენს ანგარიშს აღნიშნული დირექტივის შესრულების შესახებ.				ას	
6.2	კომისია პირველ ანგარიშში შეისწავლის: (ა) ამ დირექტივის ფარგლებში არსებულ სამრეწველო, კომერციული და პროფესიული საქმიანობის მქონე პირთა საერთო ინტერესების დაცვის საკითხებს;				ას	
	(ბ) ამ დირექტივის ფარგლებში განსაზღვრულ ნუსხას, რომელიც მოცემულია პირველ დანართში;				ას	
	(გ) ხელს უწყობს თუ არა წინასწარი კონსულტაციები მომხმარებელთა უფლებების ეფექტურ დაცვას. საჭიროების შემთხვევაში, ანგარიშს შესაძლოა თან ახლდეს წინადადება, წინამდებარე დირექტივაში ცვლილების შეტანის თაობაზე.				ას	
7	**დებულებები ქმედებების გასაფართოებლად** ეს დირექტივა ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, ეროვნულ დონეზე წარმოადგინონ ან შეინარჩუნონ ის დებულებები, რომლებიც აფართოებს	1	2.2	მომხმარებლის უფლებების დასაცავად უპირატესობა ენიჭება იმ სპეციალურ კანონს, რომელიც მომხმარებლის უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს.	ას	

	სათანადო კვალიფიციური ერთეულებისა და სხვა პირთა საქმიანობის უფლებამოსილებას.					
8	**განხორციელება** წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ კომისიასთან ეროვნულ კანონმდებლობაში შესატანი იმ ცვლილებების შემუშავების პროცესში, რომელიც მიიღება აღნიშნული დირექტივის მიერ რეგულირებული სფეროს ფარგლებში;				ას	
9	**გაუქმება** 98/27 / EC დირექტივა, რომელიც შედის II დანართის, "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დირექტივებში, გაუქმებულია. გაუქმებული დირექტივის მითითება განისაზღვრება, როგორც ამ დირექტივის მითითებად და უნდა იქნეს წაკითხული III დანართში მოცემული კორელაციის ცხრილის შესაბამისად.				ას	
10	**ძალაში შესვლა** ეს დირექტივა ძალაში შედის 2009 წლის 29 დეკემბერს.				ას	
11	**ადრესატები** ეს დირექტივა განსაზღვრულია წევრი სახელმწიფოებისთვის.				ას	